ხელშეკრულება №78/3
მომსახურების გაწევის შესახებ

22 ივნისი 2023 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (შემდგომში – შემსრულებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გელა წიკლაურის** სახით და მეორე მხრივ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – დამკვეთი), წარმოდგენილი მისი მერის მოვალეობის შემსრულებლის, ემზარი კუჭუაშვილის სახით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის IX[1] თავის, 36[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 **ხელშეკრულება** - შემსრულებელსა და დამკვეთს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 **ხელშეკრულების ღირებულება** - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

1.3 **დღე, კვირა, თვე** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსრულებლის მხრიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პირისათვის: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში თამარი უსტიაშვილისათვის (პ/ნ36001005430) 2023 წლის 10-17 ივლისს დაგეგმილი, ტრენინგკურსის „პროგრამული ბიუჯეტირება", მომსახურების გაწევა..

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულ პროგრამებზე და ტრენინგკურსებზე რეგისტრაციის თარიღად ჩაითვლება შემსრულებელსა და დამკვეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თარიღი.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობები

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **700** ლარს, დღგ-ის ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა წარმოადგენს ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული პირი/პირებისთვის გასაწევი მომსახურების თანხას. CVP კოდი: 80500000 - სატრენინგო მომსახურებები; 80570000 - პირადი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული მომსახურებები.

3.3 ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს მომსახურების მიწოდების შემდგომ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება გაუწიოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

4.2 დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულების საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.3 დამკვეთი ვალდებულია დისტანციური სწავლების ფორმატის შემთხვევაში მსმენელები უზრუნველყოს გამართული ინფრასტრუქტურით (კომპიუტერი, ინტერნეტის შეუზღუდავი წვდომის შესაძლებლობა, ვიდეო კამერების ჩართულობა და ა.შ.).

4.4 დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მსმენელები ვალდებულნი არიან როგორც დისტანციური, ასევე საკლასო სწავლების შემთხვევაში დაესწრონ ტრენინგკურსის საკონტაქტო საათების 60%-ზე მეტ ოდენობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთი იტოვებს უფლებას სერტიფიკატის არ გაცემაზე.

4.5 ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებულ პირთა მიერ კურსის მიტოვების ან დაუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს 3.1. პუნქტში აღნიშნული თანხა.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

5.1. მომსახურეობის გაწევის ადგილია - ქ. თბილისი, წმ ქეთევან დედოფლის გამზირი 96, (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული შენობა), ან დისტანციურად ელექტრონული ფორმატით.

5.2. მომსახურების გაწევის პერიოდია ხელშეკრულების ხელმოწერიდან დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე, მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს, შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

7.3 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების პირობების ცვლილება შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი შეთანხმებით რომელიც, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. დავების განხილვის წესი

10.1. ხელშეკრულების პირობების შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წარმოშობილი დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ინტერესთა კონფლიქტი

11.1 საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი სრულად აკმაყოფილებს კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

მუხლი 12. დამატებითი პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, თავისი უფლებები ან ვალდებულება გაასხვისოს, ან გადასცეს მესამე პირს.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისთვის.

მხარეთა ხელმოწერები

შემსრულებელი	**დამკვეთი**
სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 **საიდენტიფიკაციო კოდი:** 206350312 **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა **მიმღების დასახელება:** ხაზინის ერთიანი ანგარიში **ბანკის კოდი:** TRESGE22 **მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:** 707727122	მისამართი: ქ.საგარეჯო დ.აღმაშენებლის ქN9 საიდენტიფიკაციო კოდი: 238154849 ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 300559921 ელ.ფოსტა:shesyidvebisagarejo@gmail.com
გელა წიკლაური ხელმოწერა: Gela Tsiklauri Digitally signed by Gela Tsiklauri	ემზარი კუჭუაშვილი ხელმოწერა:

Sagarejo Municipality Digitally signed by Sagarejo Municipality Date: 2023.06.22 15:07:41 +04'00'

სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტი“

0144, თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. 96

TEL: +995 32 2438133

ინვოისი W-4627 თარიღი : 19.06.2023
დამკვეთი: თამარი ოსტიაშვილი , პ/ნ 36001005430
გადახდის პირობები: უნაღდო ანგარიშსწორება

N	მომსახურების აღწერა	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	რაოდენობა	სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	სასწავლო კურსი - პროგრამული ბიუჯეტირება	700,00	1	700,00
	ჯამური ღირებულება (ლარი) დღგ-ს ჩათვლით			700,00

საბანკო რეკვიზიტები: სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტი“

საიდენტიფიკაციო კოდი 206350312,

მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა;

მიმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი _ TRESGE22;

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _ 707727122

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№52. 522317119

თარიღი:20/06/2023

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებიდან

თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ" პუნქტის „ზ.ზ." ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო--საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში თამარ უსტიაშვილის 2023 წლის 19 ივნისის #05-522317089 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოიყოს 700 (შვიდასი) ლარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებიდან ქ. თბილისში 2023 წლის 10-17 ივლისს სსიპ."საჯარო აუდიტის ინსტიტუტის" მიერ ორგანიზებულ ტრენინგკურსის მონაწილე პირის (თამარ უსტიაშვილის)ტრენინგის ღირებულების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შესასრულებლად გადაეცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და შესყიდვების განყოფილებას.

4. ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.

5. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სიღნაღი,ც.დადიანის ქ. #15).

ემზარი კუჭუაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

№ 000001579

14/06/2023

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს
ავთანდილ გულიკაშვილს

ბატონო ავთანდილ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო აუდიტის ინსტიტუტი აცხადებს ტრენინგკურსებს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი **3 – 4 ივლისი**
- მონაცემთა ვიზუალიზაცია **3 – 17 ივლისი**
- ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება **5 – 7 ივლისი**
- დიპლომატიური პროტოკოლი და საერთაშორისო ურთიერთობები **10 – 11 ივლისი**
- პროგრამული ბიუჯეტირება **10 – 17 ივლისი**

დეტალური ინფორმაცია: www.sai.ge 032 2 054 154, 598 054 054.

პატივისცემით,

გელა წიკლაური
დირექტორი